თამარ (თაკო) ხატისაშვილის სახელობის სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამა

თაკოს ფონდი

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. პროგრამის საქმიანობის სფერო 3

მუხლი 3. პროგრამის ფინანსური რესურსი 3

მუხლი 4. პროგრამის მართვა 4

მუხლი 5. გარდამავალი დებულებები 4

დანართი N1 5

სტუდენტების შერჩევისა და დაფინანსების წესი 5

მუხლი 1. ზოგადი დებულება 5

მუხლი 2. სტუდენტების შერჩევის პროცედურა 5

მუხლი 3. დაფინანსების გაგრძელების პირობები 6

მუხლი 4. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები 6

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. „თამარ (თაკო) ხატისაშვილის სახელობის სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამა“ (შემდგომში – პროგრამა) წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (ა(ა)იპ) საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის (შემდგომში - ასოციაცია) მიერ დამტკიცებულ და მის ფარგლებში მოქმედ მხარდაჭერის პროგრამას.

1.2. პროგრამა არ წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს და მოქმედებს ორგანიზაციის წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.3. პროგრამის მიზანია ქიმიური პროფილის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისა და ახალგაზრდა სპეციალისტების საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მათი საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაძლიერებისა და პროფესიული ზრდის მხარდაჭერის გზით.

1.4. პროგრამის მისიაა თამარ (თაკო) ხატისაშვილის ხსოვნის გაგრძელება ქიმიისა და მონათესავე დარგების სტუდენტების საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარების მხარდაჭერის გზით.

1.5. პროგრამა ხორციელდება ასოციაციის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად მობილიზებული ფინანსური და სხვა რესურსების ფარგლებში, ასოციაციის მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე.

მუხლი 2. პროგრამის საქმიანობის სფერო

2.1. პროგრამის ძირითადი მიმართულებაა ქიმიური პროფილის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტ(ებ)ის მხარდაჭერა;

2.2. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სტუდენტების სწავლის საფასურის სრული (წლიური) ან ნაწილობრივი (სემესტრული) დაფინანსება;

მუხლი 3. პროგრამის ფინანსური რესურსი

3.1. პროგრამის ფინანსური რესურსი ფორმირდება ასოციაციის მიერ მობილიზებული სახსრებით, მათ შორის შემოწირულობებით, გრანტებითა და ასოციაციის სხვა კანონით დაშვებული შემოსავლის წყაროებით.

3.2. პროგრამის ფარგლებში მიღებული და გამოყოფილი ფინანსური რესურსი გამოიყენება მხოლოდ ამ დებულებით განსაზღვრული მიზნებისათვის.

3.3. პროგრამის ფინანსური მართვა და ხარჯვის აღრიცხვა ხორციელდება ასოციაციის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად.

3.4. პროგრამის ფინანსური ოპერაციები, მათ შორის შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა, ხორციელდება ასოციაციის ბუღალტრული აღრიცხვის ფარგლებში და წარმოადგენს ასოციაციის საერთო ფინანსური საქმიანობის ნაწილს, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. პროგრამის მართვა

4.1. პროგრამის მართვას ახორციელებს ასოციაციის მმართველი ორგანო.

4.2. მმართველი ორგანო უფლებამოსილია განსაზღვროს პროგრამის განხორციელების წესი, შერჩევის პროცედურა და დაფინანსების პირობები. (დანართი N1).

4.3. მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია შეიქმნას საკონსულტაციო ან შეფასების კომისია სტუდენტ(ებ)ის შერჩევის მიზნით.

4.4. პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიიღება ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით

მუხლი 5. გარდამავალი დებულებები

5.1. პროგრამის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში პროგრამის ფარგლებში არსებული ფინანსური რესურსები გამოიყენება ასოციაციის წესდებით განსაზღვრული საგანმანათლებლო მიზნებისთვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. პროგრამის შეწყვეტა არ იწვევს ასოციაციის, როგორც იურიდიული პირის, საქმიანობის შეწყვეტას.

5.3. პროგრამაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია ასოციაციის მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებით.

5.4. წინამდებარე პროგრამა ძალაში შედის მისი დამტკიცების დღიდან ასოციაციის მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებით.

<u>დანართი N1</u>

სტუდენტების შერჩევისა და დაფინანსების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს „თამარ (თაკო) ხატისაშვილის სახელობის სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ქიმიური პროფილის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტ(ებ)ის შერჩევისა და სწავლის საფასურის სრულ ან ნაწილობრივ დაფინანსების პროცედურას.

1.2. პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მიეცეს როგორც მოქმედ სტუდენტ(ებ)ს, ისე შესაბამისი წლის ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხულ პირველკურსელებს.

1.3. დაფინანსება გაიცემა ერთჯერადად ან განსაზღვრული ვადით, მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებით.

1.4. პროგრამის ფარგლებში დაფინანსება არ ვრცელდება სასწავლო პროცესთან უშუალოდ დაუკავშირებელ ხარჯებზე და სხვა მიზნებზე, რომლებიც არ შეესაბამება პროგრამის ამოცანებს.

მუხლი 2. სტუდენტების შერჩევის პროცედურა

2.1. პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა შერჩევა ხორციელდება ასოციაციის მმართველი ორგანოს მიერ, წინამდებარე წესით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე;

2.2. სტუდენტთა კანდიდატურების წარდგენა შესაძლებელია პირადი განცხადების, საგანმანათლებლო დაწესებულების რეკომენდაციის ან ასოციაციის მიერ გამოცხადებული შერჩევის ფარგლებში;

2.3. კანდიდატთა წარმოდგენილი დოკუმენტაცია განიხილება და შეფასდება ასოციაციის მმართველი ორგანოს მიერ ან მისი გადაწყვეტილებით შექმნილი კომისიის მიერ.

2.4. სტუდენტ(ებ)ის შერჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

ა)აკადემიური მოსწრება;
ბ) საქართველოს ეროვნული გამოცდების შედეგები (პირველკურსელთა შემთხვევაში);
გ) პროფესიული პოტენციალი და მოტივაცია;
დ) სხვა გარემოებები, რომლებიც ასოციაციის შეფასებით მნიშვნელოვანია.

2.5. მინიმალური აკადემიური მოსწრების ზღვარი (GPA ან შეფასების სხვა სისტემა) განისაზღვრება ფონდის მმართველი ორგანოს მიერ ყოველი სასწავლო წლისთვის.

2.6. ასოციაციის მმართველი ორგანოს წევრი, რომელსაც კონკრეტულ კანდიდატთან მიმართებით აქვს პირდაპირი ან ირიბი ინტერესთა კონფლიქტი, ვალდებულია თავი შეიკავოს აღნიშნული კანდიდატურის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობიდან.

2.7. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა, მათ შორის, ნათესაური, ფინანსური ან სხვა სახის პირადი კავშირი, რომელიც შეიძლება გავლენას ახდენდეს გადაწყვეტილების ობიექტურობაზე.

მუხლი 3. დაფინანსების გაგრძელების პირობები

3.1. დაფინანსება გრძელდება ყოველი მომდევნო სასწავლო წლისათვის ან სემესტრისთვის იმ პირობით, რომ სტუდენტი:

ა) ინარჩუნებს ასოციაციის მიერ დადგენილ მინიმალურ აკადემიურ მოსწრებას;

ბ) აგრძელებს სწავლას საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ქიმიის საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) არ დაუდასტურდა აკადემიური ან დისციპლინური დარღვევა.

დ) ინარჩუნებს სრულ აკადემიურ დატვირთვას (არ აქვს სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა).

3.2. აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადასტურებული მონაცემების საფუძველზე. (ნიშნების ფურცელი)

3.3. მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში პროგრამა უფლებამოსილია შეწყვიტოს დაფინანსება და შესაბამისი გადაწყვეტილებით გამოაცხადოს ახალი შერჩევა.

მუხლი 4. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

4.1. წინამდებარე წესი ძალაში შედის მისი დამტკიცების დღიდან ასოციაციის მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებით.

4.2. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია ასოციაციის მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებით.